**თეთრი სახლი**
**პრეს-მდივნის ოფისი**

---

**დაუყოვნებლივ გასავრცელებლად** **1 დეკემბერი, 2009 წ.**

# საინფორმაციო ბიულეტენი:
# სამომავლო ღონისძიებათა მიმართულება ავღანეთსა და პაკისტანში

**ჩვენი მისია**: პრეზიდენტის სიტყვა კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მიერ 2009 წლის მარტში გამოთქმულ ძირეულ მიზანს: დაირღვეს, დაიშალოს და საბოლოოდ დამარცხდეს ალ-ქაიდა, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი დაბრუნება ავღანეთსა ან პაკისტანში. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები განვახორციელებთ ძალების ზრდასა და მობილიზებას, შევუტევთ შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევ ელემენტებს, გავამაგრებთ ძირითად დასახლებულ ცენტრებს, მოვაწყობთ ავღანური ძალების წვრთნას, განვახორციელებთ პასუხისმგებლობის გადაცემას კომპეტენტური ავღანელი მოკავშირისადმი და გავაძლიერებთ ჩვენს თანამშრომლობას პაკისტანელებთან, რომლებიც მსგავსი საფრთხის წინაშე დგანან.

აღნიშნული რეგიონი წარმოადგენს იმ გლობალური ძალადობრივი ექსტრემიზმის ცენტრს, რომელსაც ალ-ქაიდა ახორციელებს, და რეგიონს, საიდანაც ჩვენზე 9 სექტემბრის თავდასხმა განხორციელდა. ამჟამად, იქ იგეგმება ახალი შეტევები, ეს ფაქტი გამომდინარეობს ამასწინანდელი შეთქმულებებიდან, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში იგეგმებოდა, და რომლებიც გამომჟღავნებული და ჩაშლილი იქნა ამერიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ. ჩვენ არ მივცემთ ალ-ქაიდას საშუალებას, რომ ავღანეთი კვლავ თავშესაფრად გადაიქცეს, საიდანაც საერთაშორისო ტერორისტებს ჩვენზე ანდა ჩვენს მოკავშირეებზე თავდასხმის განხორციელება შეეძლებათ. ეს პირდაპირ საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ეს ის საფრთხეა, რომელსაც ჩვენ ვერ დავუშვებთ. ალ-ქაიდა კვლავ რჩება პაკისტანში, სადაც ის აგრძელებს ჩვენს წინააღმდეგ შეტევების დაგეგმვას და სადაც ალ-ქაიდა და მისი ექსტრემისტი მოკავშირეები საფრთხეს უქმნიან პაკისტანის სახელმწიფოს. პაკისტანში ჩვენი მიზანია, რომ ალ-ქაიდა დამარცხდეს და ქვეყანაში სტაბილურობა დამყარდეს.

**განხილვის პროცესი:** განხილვა წარმოადგენდა კარგად გააზრებულ და ორგანიზებულ სამსაფეხურიან პროცესს, მიზნების დაზუსტების, ამ მიზნების მიღწევის მეთოდების, დაბოლოს, მიღწევისათვის აუცილებელი რესურსების დადგენისათვის. ათ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, პრეზიდენტმა სახელმწიფოს უსაფრთხოების სპეციალისტების ჯგუფებთან მოწყობილ ცხრა შეხვედრას უხელმძღვანელა და ჰქონდა კონსულტაციები ძირითად მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, ავღანეთისა და პაკისტანის მთავრობების ჩათვლით. პრეზიდენტი უმეტესწილად რთულ შეკითხვებს აძლევდა დამსწრეებს; მან სათანადო დრო დაუთმო ყველა შესაძლებლობის დაწვრილებით განხილვას და

გააერთიანა თავის კაბინეტში არსებული საპირისპირო თვალსაზრისები, სანამ დათანხმდებოდა ომში კიდევ უფრო მეტი ამერიკელის გაგზავნაზე.

განხილვის შედეგად, ჩვენ უფრო მტკიცედ დავაზუსტეთ ჩვენი მისია და შევიმუშავეთ საერთო ურთიერთგაგება ჩვენი რეგიონალური მიდგომისა და საერთაშორისო მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ. ჩვენ ავღანეთში ჯარებს უფრო სწრაფად შევიყვანთ და ვისარგებლებთ დამატებითი რესურსებით, რათა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ დავიწყოთ საბრძოლო ნაწილების შემცირება 2011 წლის ზაფხულში; ამავე დროს, ჩვენ შევინარჩუნებთ ავღანეთთან და პაკისტანთან თანამშრომლობას, ამ რეგიონში ჩვენი ხანგრძლივი ინტერესების დაცვის მიზნით.

შეხვედრებში ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რა არის საუკეთესო გარანტია იმისათვის, რომ ალ-ქაიდას საშიშროება ამ რეგიონიდან აღმოფხვრილი იქნას და აღდგეს რეგიონალური სტაბილურობა. ჩვენ დაკვირვებით განვიხილეთ ჩვენი ღონისძიებების ურთიერთმიმართება და ბალანსი სამოქალაქო და სამხედრო რესურსებს შორის, როგორც პაკისტანში, ასევე ავღანეთში, და აშშ-ისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიებები.

ღრმად იქნა შესწავლილი მთელი რიგი საკითხთები: სახელმწიფო ინტერესები, ძირითადი მიზნები და ამოცანები, კონტრ-ტერორიზმის პრიორიტეტები, პაკისტანში ტერორისტული ჯგუფების უსაფრთხო თავშესაფარი ადგილები, აშშ-ის გლობალური სამხედრო ძალების მდგომარეობა, ჯარების დისლოცირებასთან დაკავშირებული რისკები და ხარჯები, გლობალური დისლოცირების მოთხოვნები, საერთაშორისო თანამშრომლობა და ვალდებულებები როგორც ავღანეთის, ასევე პაკისტანის მიმართ; აგრეთვე, ავღანელთა შესაძლებლობები ყველა სფეროში, რომლებიც მოიცავს ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს, ცენტრალურ და სუბ-ეროვნულ, ანუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მმართველობას და კორუფციას (ნარკოტიკებით ვაჭრობის ჩათვლით), და განვითარებისა და ეკონომიკურ საკითხებს.

**რა შეიცვალა მარტის შემდეგ:** მას შემდეგ, რაც მარტში პრეზიდენტმა გამოაცხადა ჩვენი განახლებული ამოცანების შესახებ, ადგილი ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც ადმინისტრაცია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ავღანეთის და პაკისტანის მიმართ მიდგომისათვის უნდა გადაეხედა: ავღანეთი და პაკისტანი განახლებული ყურადღების საგანი გახდა, ავღანეთში აშშ-ის ახალი ხელმძღვანელობა დაინიშნა, პაკისტანმა გაზარდა ექსტრემისტებთან ბრძოლის მცდელობები, ხოლო სიტუაცია ავღანეთში უფრო გართულდა.

აშშ-ის მიერ ავღანეთში ახალი სამოქალაქო და სამხედრო ხელმღვანელობა დაინიშნა, კერძოდ, კარლ ეიკენბერი დაინიშნა აშშ-ის ელჩად ავღანეთში, ხოლო გენერალი სტენლი მაკ-კრისტალი კი დანიშნული იქნა ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების სამხედრო ძალების უფროსად. ავღანეთში ჩასვლისთანავე, როგორც ეიკენბერი, ასევე გენერალ მაკ-კრისტალი დარწმინდნენ, რომ რვა-წლიანი არასაკმარისი

რესურსებით მოქმედების შემდეგ, სიტუაცია იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ერთობლივად, ეიკენბერიმ და მაკ-კრისტალმა გამოაქვეყნეს ახალი სამოქალაქო-სამხედრო მოქმედების გეგმა, რათა აშშ-ის ძალისხმევის ინტეგრირება მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდეს.

ავღანეთის რთულმა და გახანგრძლივებულმა საარჩევნო პროცესმა და კანონიერების არარსებობის ცხადმა ნიშნებმა, ნათელი გახადა ქაბულის ცენტრალური ხელისუფლების შესაძლებლობათა შეზღუდულობა.

ამასთანავე, პაკისტანში, პაკისტანელებმა განახლებული მონდომება გამოიჩინეს იმ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ბრძოლის საქმეში, რომლებიც სვატის რაიონს აკონტროლებენ, და რომელიც ისლამაბადიდან სულ 60-ოდე მილით არის დაშორებული. პაკისტანის პოლიტიკური ლიდერები -- ოპოზიციური პარტიების ლიდერების ჩათვლით, -- პაკისტანის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად გაერთიანდნენ. ამ შემოდგომაზე პაკისტანელებმა ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლა სამხრეთ ვაზირისტანის მეჰსუდის ტომების რეგიონებში, ავღანეთის საზღვრის გასწვრივ განავრცეს.

**სამომავლო ღონისძიებათა მიმართულება**: პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს ავღანეთში დამატებით აშშ-ის 30,000-იანი ჯარის შეყვანა. ეს ჯარები -- 68,000 ამერიკელთან და 39,000 არა-ამერიკელ ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების სამხედრო ძალებთან [ISAF] ერთად, რომლებიც უკვე იქ ადგილზე იმყოფებიან, -- უფრო სწრაფად იქნება დისლოცირებული, ვიდრე ეს თავიდან იყო განსაზღვრული, რაც საშუალებას მოგვცემს შეტევა მივიტანოთ წინააღმდეგობის გამწევ დაჯგუფებებზე, შევაჩეროთ მათი წინსვლა და უკეთესად დავიცვათ დასახლებული ცენტრები. ეს ძალები გაზრდის ჩვენს შესაძლებლობებს, რომ გავწვრთნათ ეფექტური მოქმედების უნარის მქონე ავღანური უსაფრთხოების ძალები და მათთან ისეთი პარტნიორობა დავამყაროთ, რომ ბრძოლაში მეტი ავღენელის ჩართვა მოხდეს. ამგვარი თანამშრობლობის განვითარებით, ჩვენ შევძლებთ ავღანელებისათვის პასუხისმგებლობის გადაცემას და დავიწყებთ ჩვენი საბრძოლო ნაწილების გამოყვანას 2011 წლის ზაფხულში. მოკლედ რომ ითქვას, ეს რესურსები შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ საბოლოო ძალისხმევა, რომელიც აუცილებელია ავღანელების წვრთნისათვის, რათა ჩვენ შევძლოთ მათთვის პასუხისმგებლობის გადაბარება.

მომდევნო 18 თვის განმავლობაში, ჩვენ შევინარჩუნებთ გაზრდილი ჯარების დონეს. ამ პერიოდში, რეგულარულად შევაფასებთ ჩვენს პროგრესს. 2011 წლის ივლისიდან დაწყებული წამყვან პასუხისმგებლობას უსაფრთხოებას გადავცემთ ავღანელებს და დავიწყებთ ჩვენი საბრძოლო ძალების ავღანეთიდან გამოყვანას. როცა ავღანელები თავიანთი უსაფრთხოების დაცვის პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე აიღებენ, ჩვენ გავაგრძელებთ ავღანელთა უშიშროების ძალებისათვის რჩევების მიცემას და დახმარებას, და განვაგრძობთ პარტნიორობას ავღანელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომ მათ შესძლონ ამ ძალისხმევის შენარჩუნება. ავღანელები დაიღალნენ ომისაგან და ესწრაფვიან მშვიდობას, კანონიერებას და ეკონომიკურ სტაბილურობას. ჩვენ ვაპირებთ,

რომ დავეხმაროთ მათ ამ მიზნების მიღწევაში და ბოლო მოვუღოთ ამ ომს და ალ-ქაიდასთან დაკავშირებული უცხოელი მებრძოლების მიერ ავღანეთის ხელმეორედ ოკუპაციის საფრთხეს.

ჩვენ ამ ძალისხმევაში მარტონი არ ვიქნებით. ამ ბრძოლაში ჩვენ ავღანელებთან ერთად ვიქნებით ჩაბმული, და გენერალ მაკ-კრისტალის მიერ განჭვრეტილი აქტიური პარტნიორობის ძალისხმევა მეტ ავღანელს ჩართავს თავისი ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლაში. იქნება, ასევე, დამატებითი რესურსები ნატოს მხრიდან. ამ მოკავშირეებმა უკვე აიღეს თავის თავზე მნიშვნეოვანი ვალდებულებები ავღანეთში და მომავალ დღეებსა და კვირებში, ჩვენ ვიმსჯელებთ მოკავშირეთა დამატებით წვლილზე -- ჯარებით, ინსტრუქტორებითა და რესურსებით დახმარების შესახებ. ეს არ წარმოადგენს უბრალოდ მოკავშირეთა სანდოობის გამოცდას, - აქ საქმე ეხება გაცილებით უფრო ფუნდამენტალურ საკითხებს. ეს არის ლონდონისა და მადრიდის, პარიზისა და ბერლინის, პრაღის, ნიუ იორკისა და საერთოდ, უფრო ფართო გაგებით, ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოება.

ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ავღანელ ხალხთან ერთად, რომ გავაძლიეროთ ჩვენი სამოქალაქო ძალისხმევა, რათა ავღანეთის მთავრობამ შეძლოს ამ პროცესში ჩართვა, ჩვენს მიერ უსაფრთხოების გამყარებასა და გაძლიერებასთან ერთად. პრეზიდენტმა ყარზაიმ, თავის საინაგურაციო გამოსვლაში სწორი იდეა გამოთქვა და გაავრცელა ახალი მიმართულებით მოძრაობის შესახებ; აღნიშნა, რომ მის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრაცია და შერიგება, ავღანეთის რეგიონალურ პარტნიორებთან ურთიერთობების გაუმჯობესება და ავღანეთის უშიშროების ძალების მოვალეობათა სტაბილური ზრდა. მაგრამ ჩვენ გვინდა დავინახოთ რეალური მოქმედებები და პროგრესი. ჩვენ ნათლად განვაცხადებთ, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი მოლოდინი და მხარს დავუჭერთ და გავაძლიერებთ ავღანეთის სამინისტროებს, მმართველობას და ადგილობრივ ლიდერებს, რომლებიც ხალხის სასიკეთოდ მოქმედებენ და ებრძვიან კორუფციას. ჩვენ მხარში არ ამოვუდგებით მათ, ვინც უპასუხისმგებლოა და არ დგას ავღანელი ხალხისა და ავღანეთის სახელმწიფოს სამსახურში. ასევე, ჩვენ დახმარების დარგში ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ სფეროებზე, როგორიცაა სოფლისმეურნეობა, რასაც ავღანელი ხალხის ცხოვრებაზე უშუალო ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

**სამოქალაქო დახმარება:** სამოქალაქო დარგის ექსპერტების მიმდინარე საგრძნობი მატება მნიშვნელოვნად გაზრდის დამატებით სამოქალაქო დახმარებას. ეს ექსპერტები ავღანელებთან თანამშრომლობასა და პარტნიორობას გრძელვადიანი პერსპექტივით დაამყარებენ, რათა განხორციელდეს ეროვნული და სუბ-ეროვნული [ადმინისტრაციულ-ტერიტორიული] სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება, და დახმარება გაეწიოს ავღანეთის ძირითადი ეკონომიკური სექტორების რეაბილიტაციას, ისე, რომ ავღანელებს შეეძლოთ შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან გამკლავება, რომელიც ხალხს მხოლოდ მეტ ძალადობის პირდება.

ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში საფუძველი გამოაცალოს ექსტრემისტების მოწოდებებს, ხოლო გრძელვადიანი პროგნოზით კი მომავალში მყარი ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოს. ჩვენი მთავარი აღდგენითი სამუშაოების პრიორიტეტს სამოქალაქო-სამხედრო სოფლისმეურნეობის აღორძინების სტრატეგია წარმოადგენს, რათა აღდგენილი იქნას ავღანეთის ერთ დროს არსებული სიცოცხლისუნარიანი სასოფლო სამეურნეო სექტორი. ეს ხელს შეუწყობს შეიარაღებულ მებრძოლთა წინააღმდეგობის დასუსტებას და ყაყაჩოების კულტივაციიდან მიღებული შემოსავლის ამოწურვას.

ჩვენი მმართველობის ღონისძიებების ყურადღების ცენტრში იქნება უფრო პასუხისმგებელი, თვალსაჩინო და ანგარიშმგებელი ინსტიტუტების განვითარება, როგორც პროვინციულ და რაიონულ, ისე ადგილობრივ დონეზე, სადაც ავღანელებს თავიანთ მთავრობასთან ყოველდღიური შეხება გააჩნიათ. ჩვენ ასევე დახმარებას გავუწევთ და ხელს შევუწყობთ ავღანეთის მთავრობის განახლებულ გეგმებს კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, რასაც თან ახლავს ანგარიშგების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროგრესის შეფასების კონკრეტული ღონისძიებები.

ჩვენი პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი ელემენტი იქნება თვით ავღანელთა მიერ წამოწყებული ღონისძიებების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართულია თალიბან მებრძოლთა რეინტეგრაციაზე/შემოერთებაზე, რომლებიც დაგმობენ ალ-ქაიდას, დაყრიან იარაღს და ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესში.

**ჩვენი თანამშრომლობა პაკისტანთან:** ჩვენი თანამშრომლობა პაკისტანთან მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს ღონისძიებებს ავღანეთში. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჩვენ გვჭირდება სტრატეგია, რომელიც ეფექტური იქნება ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის ორივე მხარეს. უმოქმედობა უფრო ძვირად დაგვიჯდება.

ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს პაკისტანის შესაძლებლობების გაძლიერებას, რომ მან იერიში მიიტანოს იმ ჯგუფებზე, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ორივე ჩვენი ქვეყნისათვის. დაუშვებელია შეგუება უსაფრთხო თავშესაფრების არსებობასთან იმ მაღალი რანგის ტერორისტებისათვის, რომელთა ადგილსამყოფელიც ცნობილია, ხოლო მიზნები - ნათელი. პაკისტანის მიმართ ჩვენ ვაგრძელებთ სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობის მხარდაჭერას, რათა მათ გააგრძელონ თავიანთი ბრძოლა ექსტრემისტების წინააღმდეგ და აღმოფხვრან თავიანთ ქვეყანაში ტერორისტების უსაფრთხო თავშესაფრები.

ამჟამად, ჩვენი ყურადღება მიმართულია პაკისტანის დემოკრატიულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე, ჩვენს მთავრობებსა და ხალხებს შორის ურთიერთობათა გაღრმავებაზე, და საერთო ინტერესებსა და პრობლემებზე. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს პაკისტანთან სტრატეგიულ გრძელვადიან თანამშრომლობას. პაკისტანის მიმართ ეს მხარდაჭერა ჩვენ განვამტკიცეთ მისთვის ყოველ წელიწადს 1.5 მილიარდი დოლარის გამოყოფით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, რათა ხელი შევუწყოთ პაკისტანის

განვითარებასა და დემოკრატიას; ჩვენ ასევე სათავეში ჩავუდექით პაკისტანისადმი მხარდაჭერის გლობალურ ღონისძიებას, რომ დამატებითი დახმარებაში სხვა ქვეყნებმაც მიიღონ მონაწილეობა. გრძელვადიანი დახმარების ეს მნიშვნელოვანი ვალდებულება შემდეგ მიზნებს ემსახურება:

(1) დახმარება იმაში, რომ პაკისტანმა შეძლოს არსებული ენერგიის, წყლისა და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისების დასაძლევი შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, რაც გააღრმავებს ჩვენს ურთიერთობას პაკისტანის ხალხთან და შეასუსტებს ექსტრემიზმს.

(2) ფართო ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ პაკისტანი დაადგეს შრომითი დასაქმების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის გზას, რაც აუცილებელია ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობისა და პროგრესისათვის; და

(3) დახმარება იმაში, რომ პაკისტანმა შეძლოს მებრძოლი რადიკალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებების მოპოვება, და აღმოფხვრას ქვეყანაში ექსტრემისტთა თავშესაფრები, რომლებიც საშიშროებას უქმნიან პაკისტანს, ავღანეთს, მთლიანად რეგიონსა და ხალხს მთელ მსოფლიოში.

აშშ-ის დამატებითი დახმარება პაკისტანს გრძელვადიანი განვითარების საფუძვლის ჩაყრაში შეუწყობს ხელს, და, გარდა ამისა, გააძლიერებს კავშირს ამერიკისა და პაკისტანის ხალხებს შორის. ამის დასამტკიცებლად ამერიკის შეერთებული შტატები ადასტურებს, რომ იგი მზად არის სათანადო ღონისძიებები მიიღოს იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ პაკისტანელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ამასთანავე, ჩვენ ერთობლივ ძალისხმევას არ ვიშურებთ ექსტრემისტების დასამარცხებლად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან როგორც პაკისტანს, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებს.